საქ. შეშბრალებენე ბოლ.-შექდ. ბარეგ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
4 „ 150,000 „
საგზლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 505 საშაბათი, ივნისის 26 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

ყველა დაწესებულებათა და კერძო პირთ

(გარდა სამხედრო უწყებისა),

რომელთაც ყავთ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილები და მოტოციკლეტები, ევალებათ დაუყონებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწმობები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ,

ამ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწმობებიც მიუღიათ, ევალებათ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწმობები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივად მოწმობები.

შემდეგ ვადებში:

1, 2, 3, 4 კომისარიატი — 27 ივნისიდან 5 ივლისამდე:
5, 6, 7, 8 „ „ — 6 ივნისიდან 10 ივლისამდე.
9, 10, 11, 12, 13. „ — 11 ივნისიდან 16 ივლისამდე.

სარეგისტრაციოთ გამოცხადებული ნომრების მიღებისთანავე გადახდებათ თანახმათ აღმასკომის დადგენილებისა: 1) თითო ცხენის ძალის ანგარიშზე სამი მანეთი და ოცდა ათი კაპეიკი ჩერვონეცით წლიური (ამ ჟამად მხოლოდ ნახევარი წლის გადასახადი უნდა იქმნეს შემოტანილი). 2) მოწმობების და ნომრების დასამზადებელი ერთი მანეთი და სამოცდა ხუთი კაპეიკი ჩერვონ. და 3) ერთდროული გადასახადი **სამგზავრო** ავტომობილებზე [illegible] კომისართა საბჭოს დადგენილებისა.

შენიშვნა: 1) მანქანის პატრონთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი: სრულიად გამოუდეგარი ავტომობილები და მატოციკლეტები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.
2) ყოველგვარი შუამდგომლობა გადასახადის ვადის გადადებაზე ან პატიებაზე უშედეგოთ იქნება დატოებული.

მანქანათა პატრონთ, რომელნიც სარეგისტრაციოთ და მოწმობის მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებათ საურავი (**пени**).

ამ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთოთ და უმოწმობოთ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად აღეკრძალებათ მიმოსვლა და პატრონიც პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

პრეზიდიუმი.

№ 377

3—1

საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა.

საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობა თანდათან ყალიბდება მტკიცე კალაპოტში. მართალია, უკანასკნელ ხანებში ანტი-საბჭოთა ქვეყნებში გამძვინარდა ბურჟუაზიული რეაქცია. კაპიტალისტური მსოფლიო ბრძოლის გუნებაზე დადგა. მუშათა მასსების რევოლიუციონურ მოძრაობას კაპიტალის მაგნატებმა ცეცხლმფრქვეველი დაუპირისპირეს. ამით საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ამოცანის გადაწყვეტა დროებით შეაჩერეს. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო მდგომარეობა მაინც საგულისხმო ცვლილებების, უარყოფით შედეგების დარჯაკში არ გატარებულა.

რუსეთის უაღრესი მნიშვნელობა ევროპის საშეურნეო ცხოვრების მოწესრიგებაში დიდი ხნიდანაა ცნობილი ბურჟუაზიის ეკონომისტ-მეცნიერებისათვის. ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რამოდენიმე ხნით, რუსეთთან პოლიტიკური კავშირის გაწყვეტა, პოლიტიკურად დაპირისპირება. მაგრამ ანალოგიურ გზით სიარული, რაკი საკითხი ევროპის ეკონომიურ ცხოვრებას შეეხება, არ შეუძლიათ თანამედროვე ევროპის მესვეურებს. ეკონომიურ-რეალი ინტერესები გადამჭრელი ხასიათის მქონეა სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროში. სახელმწიფოები „ნათესაური კავშირით“ კი არ უთანხმდება ერთმანეთს, არამედ სოციალ-პოლიტიკური გეგმაშეწონილებისათვის გათვალისწინებით, რეალი თვალსაზრისის მონიშნეობით.

ამ ჟამად ბურჟუაზიული ქვეყნიერება ღრმა გარდატეხას განიცდის საბჭოთა ფედერაციებსთან დამოკიდებულების საკითხში. ნიჰილისტური და პირწავარდნილი იმპერიალისტური, უკეთ რომ ვსთქვათ—აქტიური პრაქტიკის პოლიტიკის წარმოების საჭიროება უკვე არ სდგას დღიურ წეს-რიგის პირველ რიგებში. დიდი ანტანტის სახელმწიფოები, მცირე ანტანტის შემადგენელი ელემენტები, მსხვილი იმპერიალისტური—„ამომავალ მზის“—იაპონია და „დემოკრატიულ“ ამერიკის ქვეყნები უკვე დაადგა მიკიბულ-მოკიბულ გზებს და საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხის ახალ ყაიდაზე გადაჭრას შეუდგა. რუსეთის საზღვრებს დღეს აწყდება გემ-ქარავანები, დატვირთული არა საომარი იარაღებით, არამედ რუსეთის მშრომელი ხალხისათვის საჭირო ფაბრიკატებით.

ვაშინგტონის კონფერენციის პერიოდში ევროპა უყურებდა რუსეთს ისე, როგორც ამას მოითხოვდა გაბედული ნაბიჯების პოლიტიკა. არ სცნობდენ რუსეთის რეალ ძლიერებას. არ იყო გარკვეულ ფორმაში ჩამოსხმული ევროპის „საზოგადოების“ საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარების ფერხულში ჩაბმის როლი. დროთა მსვლელობამ ნათელჰყო ანტანტის ყალბი თვალსაზრისი და პოზიცია „უკულტურო“ საბჭოთა ქვეყნების მიმართ. კაპიტალისტური ევროპა დაადგა კაპიტულიაციის ლიანდაგს. ამის ილიუსტრაციაა გენუის და ლოზანას კონფერენციები.

ეკონომიურ აუცილებლობამ გაჯიუტებულ ევროპას დაუყენა საკითხი: ან კავშირი რუსეთთან, აღდგენა მასთან ეკონომიურ უფლებების, ან თანამედროვე ევროპიულ „კულტურის“ გაქანება უფსკრულისაკენ. ევროპის დიპლომატიის „გონებამ“ პირველი გზა აირჩია.

მთელი რიგი წვრილი და დიდტანიანი კაპიტალისტური ქვეყნები უკვე ალაპარაკდა სამშვიდობო კილოზე. საფრანგეთი, რომელიც ყველაზე მეტად გამსჭვალული იყო თანამედროვე რუსეთისადმი სიძულვილით და ყოველ გზა-ჯვარედინზე ევროპას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მოუწოდებდა, დღეს აღარ მღერის ძველ ჰანგზე. ფორმალურად მაინც მაინც იგი სცდილობს საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან „მეგობრულ“ ურთიერთობის დაჭერას. „ვაჭრული პოლიტიკა“ და სავაჭრო ინტერესები მაღალხარისხოვანი აღმოჩნდა საფრანგეთის მმართველ წრეების ცხოვრებაში. როგორც ვიცით, ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია. მისი მიზანია რუსეთთან ეკონომიურ აღებ-მიცემის, სავაჭრო უფლებების აღდგენა-განმტკიცებაში მდგომარეობას, უეჭველია, ეს მოვლენა მსხვილი მნიშვნელობის მქონეა, პოლიტიკური ხასიათის მატარებელი, რომელიც შეიძლება საძირკვლად ჩაითვალოს რუსეთ-საფრანგეთს შუა არსებულ დაპირისპირების შენელების. პოზიციის შეცვლას საფრანგეთს უკარნახებს მდგომარეობის ობიექტიური პირობები. რაპალოს ხელშეკრულების აქტმა საფრანგეთის იმპერიალისტური თვალსაზრისი ახალ მიმართულებით გააქანა. რუსეთ-გერმანეთის ეკონომიური კონტაქტი აძლიერებდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ აზრის წინაშე საშიშროებას გერმანიის მხრით. რუსეთის ნედლი მასალის გერმანიის ტერიტორიაზე შეზიდვას შეეძლო გერმანეთის დანგრეული ეკონომიკის ფეხზე წამოყენება. ეს აშკარა იყო საფრანგეთის ცხოვრების მესაჭეებისათვის. ამიტომ მოულოდნელად არ უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება, რომ დღეს პუანკარეს კაბინეტი ახალი საზომით იხილავს რუსეთთან კავშირის საკითხს და ფრანგ მრეწველ-კონცესიონერთა ჯგუფები ევლინება საბჭოთა რუსეთის სინამდვილეს.

ინგლის-რუსეთს შორის წამოჭრილი კონფლიქტი იარაღის ატრიალების და ზარბაზნების ახმაურების გარეშე წესრიგდება. რუსეთი ბევრ რასმე დაპირდა ანტანტის წინამძღოლის იმპერიალისტებს. მაგრამ ინგლისიც საგულისხმო დათმობაზე წავიდა თავის მხრით. ეს განსაკუთრებით პოლიტიკურ სა[illegible] ანტი საბჭოთა ძალეიისთვის [illegible] ბის შესახებ. ბრიტანეთი ანებებს თავს ინტერვენციაზე ოცნებას. ყოველივე ეს მაჩვენებელია იმის, რომ ლორდ კერზონმა ახალი გამოლაშქრებით სავსებით ვერ გაანაღდა ის მიზნები, რომლებიც ინგლისის კაპიტალის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. რუსეთის პრესტიჟი აიწია ინგლისის მხრით სრული ცნობის სიმაღლემდე.

შეერთებული შტატებისა და იაპონიის დამოკიდებულებას საბჭოთა ქვეყნებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამერიკას არ შეუწყვეტია რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობა, მთელი რიგი საჭირო მასალებისა, როგორიცაა სამეურნეო იარაღები და მრ. სხ., საბჭოთა რუსეთს უხდებოდა და უხდება ამერიკიდან გამოტანა. ცხადია, შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული თანხმობა მტკიცე ნიადაგის მქონეა. ამას მოითხოვს როგორც რევოლიუციონური ფედერაციის ინტერესები, ისე თვით ამერიკის ეკონომიური თვალსაზრისიც. მსოფლიო ომის განმავლობაში ამერიკამ დიდად განავითარა წარმოება და ნაწარმოების გასაღება აუცილებლად მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ კავშირის განმტკიცებას. ანალოგიურ მდგომარეობაშია იაპონიის ახალგაზრდა ბურჟუაზიაც. საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრების ვითარებაში იაპონიას უჭირავს თვალსაჩინო ადგილი. იაპონია პატარა სახელმწიფოა ძლიერი იმპერიალისტური ჟინით გატაცებული. დღეს იაპონიის მთავრობა აწარმოებს ამხ. იოფესთან მოლაპარაკებას. ეგი მზადაა მივიდეს რუსეთის საბჭოთა მთავრობის ოფიციალური ცნობის დასაკვნამდე. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს: მრავალჯერ გამოსთქვა იაპონიამ აზრი საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ, თუ კი საბჭოთა მთავრობა „შეასრულებს ზოგიერთ პირობებს“. იაპონია არავის აძლევს პირობას რუსეთის სეპარატიულად არ ცნობის შესახებ. თავის დამოკიდებულებაში საბჭოთა ფედერაციასთან, იაპონიის მთავრობა არ ისახავს მიზნად სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების გზით სიარულს. ცხადია, ახლო მომავალი გადასწყვეტს რუსეთ-იაპონიის „დამეგობრებოტევის, საბჭოთა ქვეყნეების საეოთაშორისო მდგომარეობა დღითი-დღე მტკიცდება. თანამედროვე რუსეთი არ არის „სათამაშო ნივთი“ საერთაშორისო პოლიტიკაში, ეგი წარმოადგენს რეალ ძალას. მასთან დაპირისპირება და შებრძოლება არ არის იოლი საქმე მსოფლიო ბურჟუაზიისათვის...

ბოლო-დროინდელი

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ურთიერთობა უცხოეთთან

მოსკოვი. 20 ივნისი. „მანჩესტერ გარდიან“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: „კერზონის ულტიმატუმის შემდეგი ხანა, ეს არის ხანა დიპლომატიური ურთიერთობის გამოცოცხლებისა.

მოლოდინის წინააღმდეგ, ამ ულტიმატუმს არ შეუფერხებია მეგობრული ურთიერთობის გაგრძელება ჩვენსა და დანარჩენ ქვეყნების შორის. ინგლისის ულტიმატუმის მეორე დღეს 31, საფრანგეთმა ოფიციალურად მიიწვია მარსელში რუსეთის „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობა. ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან და ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებენ საფრანგეთის გავლენიანი ფინანსიური და კომერციული წრის წარმომადგენელნი.

იტალიის წარმომადგენელ ანადორის მიერ გამომჟღავნებულ დეპეშის გამო, ეს უკანასკნელი მოსკოვიდან უკან დაიბარეს. იტალიასთან დამოკიდებულება არ გაუარესებულა. პირიქით ჩვენ მივიღეთ ახალი წინადადება იტალიის მთავრობისაგან, რათა მასთან დავდოთ უფრო არსებითი ხელშეკრულება.

შვეიცარიაში დავნიშნეთ ახალი წარმომადგენელი ამხ. ოსინსკი, რომელიც მიემგზავრება შვეიცარიაში საგანგებო მიზნით, რომ შვეიცარიასთან გაბას მჭიდრო ურთიერთობა.

იაპონია ფორმალურ მოლაპარაკების წინაშე სდგას რუსეთთან. იაპონიის ფართო წრეები საკმაოდ გაბედულად მოითხოვენ რუსეთთან უფრო კეთილგანწყობილების დამყარებას. ამხ. იოფფე თანაგრძნობის დემონსტრაციების საგნად არი გამხდარი.

ამერიკის მხრივ არავითარ ნიშნებს არ ვამჩნევთ, რომ ჩვენ მიმართ რითიმე შეცვლილიყოს. ის გარემოება რომ თანდათან მატულობს ამერიკელ სენატორების, კონგრესის წევრების და გამოჩენილ ფინანსისტების მოგზაურობა რუსეთში, საკმაო საბუთს იძლევა, რომ იქაც გადატეხა ხდება.

გერმანიასთან ამ ჟამად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების დასადებ კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ფინეთთან ხელშეკრულება დავდეთ ნავოსნობის შესახებ.

ესტონეთთან ვამზადებთ სარკინისგზო კონვენციის დადებას. ლატვიასა და ესტონეთთან მოლაპარაკება გვაქვს სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამას წინად პოლონეთში მომხდარი ცვლილებები ჩვენ დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ მხრივ, რომ ახალ მთავრობას თითქოს განზრახვა აქვს ხელი აიღოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ავანტიურაზე. პოლონეთის ახალი კაბინეტი საკმაოდ კონსერვატიულად მიგვაჩნია, თუმცა ეს უფრო თვითონ პოლონეთის ხალხის საქმეა“.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გამო ვიტოშის განცხადების შესახებ, ამხ. ჩიჩერინმა უპასუხა: „უმჯობესი იქნებოდა, რომ ვიტოშს იერიში არ მოჰქონდეს ჩვენზე მაღალ-მაღალი ფრაზებით. ჩემის აზრით, ვიტოში უფრო მეტად შეუწყობდა ხელს კეთილ მეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებას, რომ იაფფასიან ფრაზეოლოგიის ნაცვლად გამოეცხადებინა, რომ ხელს იღებს იმ ბანდიტურ თავდასხმის მოწყობაზე, რომელიც ამ ჟამად ხელს გვიშლის რიგაში დადებულ ხელშეკრულების განხორციელებაში“.

რუსეთის ცნობის გარშემო.

სტოკჰოლმი. 19 ივნისი. გაზეთი „სტოკჰოლმ ტიდენდე“ რუსეთ-დანიის ხელშეკრულების გამო აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ მიიღწია ყოველივე იმას, რაც შესაძლებლად ხდის მის იურიდიულად ცნობას დანიის მიერ.

პარიზი. 18 ივნისი. საფინანსო გაზეთი (გამოტოვებულია) კმაყოფილებას გამოსთქვამს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის დასრულების გამო. გაზეთი სწერს: „რუსეთმა კონტაქტი უნდა იქონიოს დასავლეთ ევროპასთან რითაც შესაძლებელი იქნება გერმანიის გავლენის შესუსტება რუსეთზე. მიუთითებს რა ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებაზე გერმანიის და რუსეთს შორის, გაზეთი შესაძლებლად სთვლის რუსეთ-გერმანიის ბლოკის შექმნას, რაც ძლიერ აწუხებს ინგლისს და საფრანგეთს. გაზეთის აზრით, საფრანგეთის მოქალაქეების ინიციატივას, რუსეთთან ურთიერთობის დაჭერისათვის, სანამ სხვა ერები დაიკავებდენ ყველა ადგილებს“.

ტოკიო. 19 ივნისი. ოსაკში გაიმართა დიდი მიტინგი საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ: ამ დღეებში სოციალისტური პარტია აწყობს მუშათა დემონსტრაციას ამავე მიზნით.

19 ივნისს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა მთავრობას დაემტკიცებია

(იაპონიის ელჩის ვარშავაში) კავკამის დანიშვნა ამბ. იოფესთან მოსალაპარაკებლად იაპონიის მთავრობას მიზნათ აქვს მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკების წარმოება, რომ ოფიციალურ მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ მხოლოდ ჩამოაყალიბოს შეთანხმების ტექსტი.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს იაპონიის საგარეო მინისტრმა განუცხადა: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს არ შეეძლო განეცხადებია, რომ იაპონია ახლო ხანში არ აპირებს საბჭოთა მთავრობის ცნობას, ვინაიდან იაპონიას არა ერთხელ განუცხადებია, რომ იცნობს საბჭოთა რუსეთს, თუ კი უკანასკნელი შეასრულებს ზოგიერთ პირობებს. იაპონიას არავისთვის არ მიუცია პირობა, რომ სეპარატიულად არ იცნობს საბჭოთა რუსეთს. თავის დამოუკიდებლობაში რუსეთის მიმართ, იაპონიის მთავრობას არ აქვს მიზნათ იაროს სხვა სახელმწიფოების გზით“.

რუსეთი და შვეიცარია.

მოსკოვი. 22 ივნისი. შვეიცარიის მთავრობის უკიდურესად მტრული პოზიციის გამო რუსეთისა, უკრაინისა და საქართველოს მთავრობების მიმართ, რაც გამოიხატა ლოზანის კონფერენციაზე გაგზავნილ საბჭოთა დელეგაციის დაცვისათვის ზომების მიუღებლობაში, შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს მიერ უარის განცხადებაში ამბ. ვოროვსკის მოკვლისათვის დაკმაყოფილების მიცემის შესახებ, ამბ. ვოროვსკის მკვლელებისათვის ხელის შეწყობაში შვეიცარიის მთავრობის მიერ უარის განცხადებაში მკვლელობის საქმის იმ სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, რომელიც მძიმე სახელმწიფო ბოროტმოქმედებების საქმეებს არჩევს, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გამოეცხადოს შვეიცარიას ეკონომიური ბოიკოტი. საბჭოთა ფედერაციის საზღვრებში აკრძალულია შვეიცარიის მოქალაქეების ჩამოსვლა, გარდა მშრომელებისა, რომელნიც პასუხისმგებელნი არ არიან შვეიცარიის მთავრობის დაუშვებელი მოქმედებისათვის. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა არავითარი დამოკიდებულება არ იქონიოს შვეიცარიის მოქალაქეებთა, ფირმებთან და არავითარი ხელშეკრულებანი არ დასდოს მათთან. სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები საჩქაროდ გამოწვეული არიან შვეიცარიიდან. შვეიცარიის მოქალაქეებთან დაწყებული ყველა მოლაპარაკებანი შეწყვეტილი იქნება. კონცესიების მთავარმა კომიტეტმა არავითარი მოლაპარაკება არ უნდა აწარმოოს შვეიცარიის მოქალაქეებთან კონცესიების საკითხების შესახებ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალა შუამდგომლობით შევიდეს სრულიად რუსეთის ცეკში და სახალხო კომისართა საბჭოში ბოიკოტის მოხსნის შესახებ, როდესაც ის ამას საჭიროდ დაინახავს.

ახალი ამბები

მოხსენება. დღეს სამშაბათს, 26 ივნის, რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში კ. გამსახურდია წარმოსთქვამს სიტყვას თეატრი და ექსპრესიონიზმი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კამათში მონაწილეობენ: კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, ი. ტატიშვილი, ა. ფალავა. თავმჯდომარეობს ა. ჯუმბაძე.

— **სავალიუტო ბირჟა.** 25 ივნისის ოფიციალური კურსი—ჩერვონეცი 13,450 ათ., გირ. სტერლინგი—14,750 ათ., დოლარი—3,450 ათ., ლირა—2,380 ათ., ფრანკი—170 ათ. და სხ.

— **საქონლის მანეთის კურსი.** საქონლის მანეთის კურსი 17 ივნისიდან 2.626.400 მანეთია.

— **უმუშევრების და ინვალიდების განთავისუფლება წყლის გადასახადისაგან.** ამ საკითხს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი კომუნალურ განყოფილებასთან ერთად გაარჩევს ამ [illegible] ლია.

— **საჩუქრები.** საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გაიღო საჩუქარი მუშა-მსახიობ ბესო მაისურაძის იუბილეის გამო ნახევარი მილიარდი მანეთი, ტფილისის აღმასკომმა 100 მილიონი, კომმუნისტურმა ცაკმ—ორასი მილიონი და სხ.

— **საქონლის ბირჟა.** 25 ივნისს გაძვირდა ნატეხიანი შაქარი. პურზე, ხორბალზე და სიმინდზე ფასები მტკიცეა. მატყლზე და შაბიამანზე დიდი მოთხოვნილებაა.

პარლამენტი

ხუთშაბათს, ივნისის 28, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია მეოთხე რაიონულ ორგანიზაციის წევრების **საერთო კრება** (1, 2 და 3-მე უბნის) ტფილისის კონფერენციისათვის დელეგატების ასარჩევად.

ლით აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ ყველა პარტიული ამხანაგები.

რაიკომის მდივანი: **სირაძე.**

სამშაბათს, ივნისის 26-ს, 2 საათზე დანიშნულია ფინანსთა კომისარიატში მომუშავე მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრების საერთო კრება ადგილკომის ოთახში. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. გასარჩევია საგულისხმო საკითხები.

ფრაქციის **მდივანი.**

ხუთშაბათს, ივნისის 28, ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მე-2 რაიკომის წევრთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1. ქალაქის კონფერენციის საკითხი.
2. დელეგატების არჩევნები
3. მიმდინარე საკითხები

კრება გაიხსნება საღ. 7 საათზე. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

რაიკომის მდივანი.

სხვა და სხვა

მეზღვაურების გაფიცვა ამერიკაში. მეზღვაურების გაფიცვა ამერიკაში, რომელმაც დამბლა დასცა სავაჭრო ზღვაოსნობას, ერთი უმსხვილესი სოციალური კონფლიქტი არის ამერიკის ცხოვრებაში. ეს გაფიცვა განსაკუთრებით მით არის საინტერესო, რომ ის ტარდება სრულიად დამოუკიდებლად კონსერვატიულ პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ნეიტრალიტეტით კმაყოფილდებიან და ვერ გადაუწყვეტიათ ამ გაფიცვისთვის მხარის დაჭერა. გაფიცვა უმთავრესად ებრძვის არაორგანიზაციული შრომის გამოყენებას ამერიკულ გემებზე, რომელმაც სრულ დეზორგანიზაციამდე მიიყვანა პროფესიონალური მოძრაობა მეზღვაურებს, მტვირთავებს და სხ. შორის სამუშაო ხელფასის დაცემაზე ლაპარაკიც მეტია. ბრძოლა სწარმოებს ამერიკელი მეზღვაურების ცენტრალურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედის 15 ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელთაც უკანასკნელ წლებში რამოდენიმე გაფიცვა ჩაატარეს. მეზღვაურების ამ ორგანიზაციებს მიემხრო მტვირთავების და ნავთსადგურის მუშების კავშირი, მიუხედავათ იმისა, რომ ამ კავშირების ხელმძღვანელები, გომპერსის ჩვენებით, მეზღვაურების მოთხოვნილების წინააღმდეგ წავიდენ. მეპატრონეთა სათავეში რომელნიც აწარმოებენ ბრძოლას გაფიცულებთან, სდგას გემების მეპატრონეთა ცენტრალური ორგანიზაცია და „სტეიტს შიპჰმონგ ბორდი“. ეს უკანასკნელი, ასევსთქვათ, მთავრობის დაწესებულებაა და აცხადებს რა ოფიციალურათ თავის ნეიტრალიტეტის შესახებ, ფაქტიურად კაპიტალის მხარეს დადგა და ეხმარება მას არა მარტო თავისი მოვლენით, არამედ დიდძალი მატერიალური საშუალებებით. მეპატრონეთა პოზიციის დახმარება მთავრობის მხრივ უმთავრესად მაში გამოიხატება, რომ ის იძულებულს ხდის ემიგრანტებს, დეპარტაციის მუქარით, იმსახურონ გემებზე და შეასრულონ შტრეიკბეხერული სამუშაო. მთავრობის უწყების ასეთი პოზიციის გამო გაფიცვა პრინციპიალურ ხასიათს იღებს და იზრდება; ის თანდათან ვრცელდება მსხვილ ნავთსადგურებზე და აყენებს ამერიკაში პირველ რიგში მთლიანი მუშათა ფრონტის შექმნას.

საუბარი გლეხთან

15 მრეწველობა შეერთებული მიწად-მოქმედებასთან.

შინა-მრეწველობა საფრანგეთში

უმთავრეს ცენტრად წვრილმალ წარმოებათა დ მაინც ისევ **პარიზია.** თანასწორ უდიდესი ქარხნებისა, მათსავე გვერდით ყვავის ყოველნაირი წვრილ[illegible] წარმოებაც შინ და საზღვარ-გარეთ გასატანად [illegible] საც პარიზელები აკეთებენ.

წვრილი წარმოება პარიზელებისა იმდენად სჭარბობს მსხვილს, რომ 98 ათას ქარხნების მუშათა რიცხვიდან თვითეულ ქარხანაზე საშუალოთ მოდის მხოლოდ ექვსი მუშა, ხოლო საერთო რიცხვი წვრილ ქარხანათა ერთი ორად მეტია სხვილზე...

ტყუილათ კი არ ამბობენ, რომ პარიზი არის ფუტკრების ერთი უშველებელი სკა, სადაც სულ უმცირეს ქარხნებში ათასობით მომუშავე ქალი და მოზარდნი ამზადებენ ათასნაირ წვრილმალ ნივთებს და საქონელს, რომელთაც თვითეულად აზის უეჭველი შნო, უნარი, ცოდნა, ხელოვნება-ლაზათი [illegible] [illegible] მთელს ქვეყანას... ეს [illegible] წვრილი ქარხნები, რომელშიაც დიდად ფასობს ყოველი შნო და ლაზათი, უნარი და სიახლე, გამოგონება და ჭკვის სიმკვეთრე, ძლიერ ანვითარებს პარიზელ მოზარდთა და მუშათა გონებრივ ნიჭს. და, მართლაც, თუ პარიზელი მუშა უფრო განვითარებული ევოლიუციონიზმი და მექანიკური გაქანება ადგილს უთმობს რევოლიუციასა და **მიზანშეწონილობას.** გაბატონებული პროლეტარიატი „საკუთრების უფლებათა და წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობაში მხოლოდ დესპოტიური ჩარევით“ თავის ხელში თავს უყრის წარმოებას, შრომის ყველა იარაღს და ეს „**ლონიესძიება თანდათან იზრდება და აუცილებელ საშუალებად ხდება მთელ წარმოების გარდაქმნისათვის**“ („მანიფესტის“ სიტყვებია).

ამ რევოლიუციონურ თეორიაზე ააგო მარქსმა მთელი თავისი სამოღვაწეო პროგრამა, მთელი თავისი რევოლიუციონური სისტემა, რომელსაც აქტივიზმი მიზანშეწონილობა და სუბიექტინიზმი უდევს საჩრულად,

მთელი მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც 25 წლის სამოღვაწო ისტორია ჰქონდა და რომელმაც სამარცხვინო როლი ითამაშა საერთაშორისო ომის დროს, მთელს თავის სამოღვაწეო პროგრამასა და პრატიკას მარქსიზმის ფიოოსოფიურ და სოციოლოგიურ დებულებებზე აგებდა. აქედან წარმოსდგა ამ ინტერნაციონალის სიტყვიერი რევოლიუციონიზმი, ხოლო საქმით კი პასივობა და შეგუება კაპიტალისტურ მეურნეობასთან, რადგან მათ სწამდათ, რომ კაპიტალიზმი თავისი იმანენტალური კანონების ძალით თავის თავად მიგვიყვანდა სოციალიზმამდე. აქედან წარმოსდგა პროგრამა მინიმუმი და დემოკრატიზმი, რომელთაც ბევრი საერთო არა აქვთ რევოლიუციონურ პოლიტიკასთან და სოციალიზმის სრულს ანტოპოლს წარმოადგენენ. დემოკრატიზმი და პროგრამა მინიმები გზას უკაფავენ კაპიტალიზმსა და ქმნიან მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს; ისინი უფრო ამაგრებენ კაპიტალიზმსა და აძლიერებენ მისს არსებობას. ამიტომ დგომა დემოკრატიზმის ნიადაგზე ნიშნავს არსებითად კაპიტალიზმის ნიადაგზე დგომასა და მისი გაუმჯობესობისათვის ზრუნვას. თავისი შინაარსით დემოკრატიზმი პასივიზმისა და და ოპორტიუნიზმის პრაქტიკული ფილოსოფიაა და ამიტომ ამ ფილოსოფიის გაზიარება ნიშნავს რევოლიუციისა და აქტივიზმის უარყოფას. **მენშევიზმისათვის დემოკრატიზმი ახალი ვარიაცია შეიქმნა კაპიტალიზმის ევოლიუციის თეორიისა და მისი პრაქტიკული ფილოსოფია.** პროგრამა მინიმუმი საშვალებით ს.-დემოკრატია ნათლად დასდგა კაპიტალიზმთან შეგუების ნიადაგზე და კომპრომისულს გზას გაყვა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მენშევიზმი, რევიზიონიზმი და ყოველგვარი ჯურის რეფორმიზმი, რომელთა თავშესაფარი იყო მეორე ინტერნაციონალი.

მაგრამ ამ ნიადაგზე დგომით მეორე ინტერნაციონალმა არსებითად დაამახინჯა მარქსის რევოლიუციონური სტრატეგია, მთელი მისი **რევოლიუციონური სისტემა.** მარქსმა არ იცის ბურჟუაზიულ წყობილებასთან შეგუება, დემოკრატიზმი და მისი კონკრეტიული ფორმა პარლამენტარიზმი, რომლის საშუალებითაც მენშევიკები ცდილობდენ კაპიტალისტური ცხოვრების რეფორმიზაციას. მარქსი სწერს: „კომუნისტების **უახლესი** მიზანია... მუშათა კლასის ორგანიზაცია, **ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა**“. („კომ. მან.“ გვ. 81) მენშევიკები კი გვიხსნიან: პროლეტარიატის **უახლესი** მიზანია: დემოკრატიზმი, პარლამენტარიზმი, ბურჟუაზიული წყობილებისათვის ფართოდ გზის გახსნა.

აქ არის რადიკალური განსხვავება: მენშევიზმი კაპიტალისტური ცხოვრების რეფორმიზაციას პარლამენტის საშუალებით მოელის, ევოლიუციის კანონზე ამყარებს; მარქსი—რევოლიუციონერი: პარლამენტის დამსხვრეულია და პროლეტარიატის დიქტატურის, ხელისუფლების განმტკიცებით; მაშასადამე უაღრესი რევოლიუციონური გზით.

1914 წ. მსოფლიო ომმა რადიკალური გარდატეხა მოახდინა მეორე ინტერნაციონალის წიაღში და ახალ გზაზე დააყენა ზოგიერთი სოციალისტური პარტიები, რომელთა გეგმები, პროგრამა ძირიანად განსხვავდება ინტერნაციონალის პოლიტიკისაგან. პირველი მთავარი უთანხმოება, რომელიც აღმოჩნდა მეორე ინტერნაციონალის წიაღში, ეს იყო საკითხი კაპიტალიზმის მომწიფებისა და იმპერიალიზმის შესახებ. უკიდურესი მემარცხენეები გაიძახოდენ: კაპიტალიზმი რეგრესის ფაქტორად გადაიქცა, დროა მისი დამხობა დავიწყოთო; მემარჯვენეები უპასუხებდენ: კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ასრულებს პროგრესიულ მისიას, ამიტომ მისი პოლიტიკის დემოკრატიზაციაზე უნდა ვიფიქროთო. მაგრამ ეს კითხვა თანდათან გაფართოვდა და **მემარცხენეთა წინაშე პრაქტიკულად დაისვა კაპიტალიზმის დაძლევის საშუალებების საკითხი.** ამ კითხვის პრაქტიკულად დაყენებამ გამოიწვია მეორე ინტერნაციონალის მთელი პროგრამის რადიკალური **რევიზია** და მარქსის რევოლიუციდნურ სისტემისაკენ დაბრუნები.

ლენინი იყო ის პირველი სოციალისტი, რომელმაც გაბედულად უარყო მეორე ინტერნაციონალის პროგრამა და სისწორით აღადგინა მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემა. *)

*) ჩვენში ხშირად გაიგონებთ, რომ ლენინიზმს, **ლენინის სისტემას** არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმთანო... ამ საკითხის გაგებისათვის დიდი სიფრთხილეა საჭირო. თუ თქვენ მარქსის **მხოლოდ** ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ დებულებებს მიიღებთ მხედველობაში და მისი **მეცნიე-**

მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

5. მე-XIX-ე საუკუნის ნაციონალური მოძრაობანი და მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა.

„თუ არ გაერთიანდა ყოველი ერი ცალ-ცალკე და არ მოიპოვა დამოუკიდებლობა, შეუძლებელია პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება, შეუძლებელია ამ ერების საერთო მიზნებისათვის დამშვიდებული და შეგნებული თანამშრომლობა:“

ფ. ენგელსი. (1893 წ.)

წინა წერილებში ჩვენ განვიხილეთ ვლაპარაკობდით უმთავრესად ფაქტების ენით: ჩვენი მიზანი იყო გამოგვერკვია მარქს-ენგელსის პრინციპიალური შეხედულება ერზე, ეროვნებაზე, ეროვნულ საკითხსა და მის დამოკიდებულებაზე კლასთა ბრძოლის პრინციპთან; უკეთ, ობიექტიურად დაგვესურათებინა ამ მომენტების ადგილი მარქს-ენგელსის მთელს სისტემაში. ამ მიზნის მიღწევას ჩვენ შევეცადეთ უმთავრესად თვით მარქს-ენგელსის ენით, მათი დებულებების შინაარსის გადმოცემით, მათი კონკრეტიული მაგალითებითა და რეალური პოლიტიკით. მარქსის ობიექტიურად გაგება შესაძლებელია და სასარგებლო მარქსისავე ენით. მეორეს მხრით, ამ მეთოდით ჩვენ შეეძლება მოგვეცა საზოგადოებისათვის, რომელიც აუცილებლად მოკლებულია სწორსა და უტყუარს ცნობებს მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის შესახებ, მიგვეწოდებინა მარქს-ენგელსისავე სიტყვებით და მაგალითებით გაშუქებული დებულებები, რომ ამით საზოგადოებას თვით „ორიგინალთან“ ჰქონდა უახლოესი კავშირი.

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით ამ პრინციპიალურ დებულებების მიხედვით შემუშავებულ ნაციონალურ პროგრამის გამორკვევას, თუ რამდენად შესძლეს მარქს-ენგელსმა მაშინდელ ნაციონალურ მოთხოვნილებების გადაწყვეტა.

მაგრამ მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის გაგებისათვის, საჭიროა სხვა გარემოებასაც მიექცეს არსებითი ყურადღება.

1914 წ. საერთაშორისო ომმა არსებითად და კონკრეტიულად გამოამჟღავნა მარქსისტულ შკოლის სოციალისტურ პარტიათა შორის ძირითადი და რადიკალური პრინციპიალური წინააღმდეგობანი, რომელიც შემდეგში თანდათან გაღრმავდა და ერთი მეორეს დიამეტრალურად საწინააღმდეგო სისტემის ჩამოყალიბებამდე მივიდა. ბოლშევიზმი და მენშევიზმი,—ეს ორი უკიდურესი საწინააღმდეგო **სოციალისტური სისტემებია,** რომელთა შორის ძნელი არის რაიმე ძირითადი საერთო დებულების გამონახვას ეს ორი. სისტემა სულ სხვა და სხვა გვარი მეთოდებითა და საშუალებებით ახდენენ სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციას, კაპიტალისტური მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნას. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, ისინი მაინც ერთ საშოდან არიან წარმოშობილნი და ეს საშო მარქსიზმია. მარქსიზმის მატერიალისტური მსოფლმხედველობა აერთებს მათ, მაგრამ სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის საკითხი, რევოლიუციონური სისტემა ორ შეურიგებელ მოსისხლე ბანაკად ყოფს მათ.

ამის მთავარი მიზეზი თვით მარქსიზმში მარხია.

მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური დებულებანი უაღრესად მატერიალისტური და ობიექტიურია. როგორც აღნეშნული გვქონდა, მარქსი საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების მთავარ მიზეზებს მატერიალურ ფაქტორებში ხედავს, რომელიც მექანიკურად მართავს, მისს გაგებით, საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებას. სამეურნეო ცხოვრების ტრანსფორმაცია, ერთი სამეურნეო წყობილებიდან მეორეში გადასვლა ხდება მექანიკურად, ადამიანის ნებისყოფისა და შეგნების გარეშე. ამ გარდაქმნის პროცესში გადამჭრელ როლს თამაშობს არა ადამიანის ან კლასის მიზნები, გეგმები და პროგრამები, არამედ მატერიალური, მექანიკური ძალები. **გინდა არ გინდა** კაპიტალისტური ცხოვრება **მაინც** დაეცემა, სოციალისტური წყობილება **მაინც** დამყარდება. ასეთია მარქსიზმის ფილოსოფიური **სისტემა** უკიდურეს ობიექტივიზმამდე დაყვანილი.

მაგრამ საკმერისაა გაითვალიაწინოთ პროლეტარიატის დიქტატურის შინაარსი, გარდამავალ პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიური დებულებები, რომელიც მარქსიზმის **რევოლიუციონური სისტემის** ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს, რომლის საშუალებით მარქსი ცდილობს მოახდინოს ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილების ტრანსფორმაცია, თქვენ დარწმუნდეთ იმაში, რომ მისი რევოლიუციონური სისტემა დიდ კონტრასტში იმყოფება მარქსის ფილოსოფიურ დებულებებთან. უკანასკნელ შემთხვევაში მარქსი ობიექტივისტი და ევოლიუციონისტია, პირველ შემთხვევაშმ იგი—უაღრესად რევოლიუციონერი და სუბიექტივისტია. მარქსი, როგორც ფილოსოფოსი და სოციოლოგი სხვაა, მარქსი, როგორც რევოლიუციონერი-პოლიტიკოსი კიდევ სხვა.

მარქსი სოციალური ცხოვრების გარდაქმნის ერთ მთავარ ელემენტად სახავს პროლეტარიატის დიქტატურას, გეგმა-შეწონილ ძალდატანებას. აქ ევოლიუციონიზმი და მექანიკური გაქანება ადგილს უთმობს რევოლიუციასა და **მიზანშეწონილობას.** გაბატონებული პროლეტარიატი „საკუთრების უფლებათა და წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობაში მხოლოდ დესპოტიური ჩარევით“ თავის ხელში თავს უყრის წარმოებას, შრომის ყველა იარაღს და ეს „**ლონიესძიება თანდათან იზრდება და აუცილებელ საშუალებად ხდება მთელ წარმოების გარდაქმნისათვის**“ („მანიფესტის“ სიტყვებია).

ამ რევოლიუციონურ თეორიაზე ააგო მარქსმა მთელი თავისი სამოღვაწეო პროგრამა, მთელი თავისი რევოლიუციონური სისტემა, რომელსაც აქტივიზმი მიზანშეწონილობა და სუბიექტინიზმი უდევს საჩრულად,

მთელი მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც 25 წლის სამოღვაწო ისტორია ჰქონდა და რომელმაც სამარცხვინო როლი ითამაშა საერთაშორისო ომის დროს, მთელს თავის სამოღვაწეო პროგრამასა და პრატიკას მარქსიზმის ფიოოსოფიურ და სოციოლოგიურ დებულებებზე აგებდა. აქედან წარმოსდგა ამ ინტერნაციონალის სიტყვიერი რევოლიუციონიზმი, ხოლო საქმით კი პასივობა და შეგუება კაპიტალისტურ მეურნეობასთან, რადგან მათ სწამდათ, რომ კაპიტალიზმი თავისი იმანენტალური კანონების ძალით თავის თავად მიგვიყვანდა სოციალიზმამდე. აქედან წარმოსდგა პროგრამა მინიმუმი და დემოკრატიზმი, რომელთაც ბევრი საერთო არა აქვთ რევოლიუციონურ პოლიტიკასთან და სოციალიზმის სრულს ანტოპოლს წარმოადგენენ. დემოკრატიზმი და პროგრამა მინიმები გზას უკაფავენ კაპიტალიზმსა და ქმნიან მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს; ისინი უფრო ამაგრებენ კაპიტალიზმსა და აძლიერებენ მისს არსებობას. ამიტომ დგომა დემოკრატიზმის ნიადაგზე ნიშნავს არსებითად კაპიტალიზმის ნიადაგზე დგომასა და მისი გაუმჯობესობისათვის ზრუნვას. თავისი შინაარსით დემოკრატიზმი პასივიზმისა და და ოპორტიუნიზმის პრაქტიკული ფილოსოფიაა და ამიტომ ამ ფილოსოფიის გაზიარება ნიშნავს რევოლიუციისა და აქტივიზმის უარყოფას. **მენშევიზმისათვის დემოკრატიზმი ახალი ვარიაცია შეიქმნა კაპიტალიზმის ევოლიუციის თეორიისა და მისი პრაქტიკული ფილოსოფია.** პროგრამა მინიმუმი საშვალებით ს.-დემოკრატია ნათლად დასდგა კაპიტალიზმთან შეგუების ნიადაგზე და კომპრომისულს გზას გაყვა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მენშევიზმი, რევიზიონიზმი და ყოველგვარი ჯურის რეფორმიზმი, რომელთა თავშესაფარი იყო მეორე ინტერნაციონალი.

მაგრამ ამ ნიადაგზე დგომით მეორე ინტერნაციონალმა არსებითად დაამახინჯა მარქსის რევოლიუციონური სტრატეგია, მთელი მისი **რევოლიუციონური სისტემა.** მარქსმა არ იცის ბურჟუაზიულ წყობილებასთან შეგუება, დემოკრატიზმი და მისი კონკრეტიული ფორმა პარლამენტარიზმი, რომლის საშუალებითაც მენშევიკები ცდილობდენ კაპიტალისტური ცხოვრების რეფორმიზაციას. მარქსი სწერს: „კომუნისტების **უახლესი** მიზანია... მუშათა კლასის ორგანიზაცია, **ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა**“. („კომ. მან.“ გვ. 81) მენშევიკები კი გვიხსნიან: პროლეტარიატის **უახლესი** მიზანია: დემოკრატიზმი, პარლამენტარიზმი, ბურჟუაზიული წყობილებისათვის ფართოდ გზის გახსნა.

აქ არის რადიკალური განსხვავება: მენშევიზმი კაპიტალისტური ცხოვრების რეფორმიზაციას პარლამენტის საშუალებით მოელის, ევოლიუციის კანონზე ამყარებს; მარქსი—რევოლიუციონერი: პარლამენტის დამსხვრეულია და პროლეტარიატის დიქტატურის, ხელისუფლების განმტკიცებით; მაშასადამე უაღრესი რევოლიუციონური გზით.

1914 წ. მსოფლიო ომმა რადიკალური გარდატეხა მოახდინა მეორე ინტერნაციონალის წიაღში და ახალ გზაზე დააყენა ზოგიერთი სოციალისტური პარტიები, რომელთა გეგმები, პროგრამა ძირიანად განსხვავდება ინტერნაციონალის პოლიტიკისაგან. პირველი მთავარი უთანხმოება, რომელიც აღმოჩნდა მეორე ინტერნაციონალის წიაღში, ეს იყო საკითხი კაპიტალიზმის მომწიფებისა და იმპერიალიზმის შესახებ. უკიდურესი მემარცხენეები გაიძახოდენ: კაპიტალიზმი რეგრესის ფაქტორად გადაიქცა, დროა მისი დამხობა დავიწყოთო; მემარჯვენეები უპასუხებდენ: კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ასრულებს პროგრესიულ მისიას, ამიტომ მისი პოლიტიკის დემოკრატიზაციაზე უნდა ვიფიქროთო. მაგრამ ეს კითხვა თანდათან გაფართოვდა და **მემარცხენეთა წინაშე პრაქტიკულად დაისვა კაპიტალიზმის დაძლევის საშუალებების საკითხი.** ამ კითხვის პრაქტიკულად დაყენებამ გამოიწვია მეორე ინტერნაციონალის მთელი პროგრამის რადიკალური **რევიზია** და მარქსის რევოლიუციდნურ სისტემისაკენ დაბრუნები.

ლენინი იყო ის პირველი სოციალისტი, რომელმაც გაბედულად უარყო მეორე ინტერნაციონალის პროგრამა და სისწორით აღადგინა მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემა. *)

*) ჩვენში ხშირად გაიგონებთ, რომ ლენინიზმს, **ლენინის სისტემას** არავითარი საერთო არ აქვს მარქსიზმთანო... ამ საკითხის გაგებისათვის დიდი სიფრთხილეა საჭირო. თუ თქვენ მარქსის **მხოლოდ** ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ დებულებებს მიიღებთ მხედველობაში და მისი **მეცნიე-**

ულია გონებრივად სხვა ხალხთა და სახელმწიფოების მუშებზე, ეს მიეწერება მხოლოდ და მხოლოდ მათ სამუშაოთა იმ თვისებას, რომელიც თხოულობს მათგან მარად უდიდეს გემოვნებას, ხელოვნებას და მეტადრე ჭკვის სიმკვეთრეს და გამოგონების უნარს, რომ დღე-მუდამ სულ ახალი და უკეთესი რამ აჩუქოს ქვეყანას .. ასევე: თუ ვენასა და ვარშავაშიაც ჩვენ ვხედავთ მუშების უმაღლესად განვითარებას, ესეც, თქმა არ უნდა, რომ მათი იმ წვრიმალ წარმოებათა წარმოებით აიხსნება, რომლებითაც სავსეა ეს ქალაქებიც, რადგანაც ყველა ეს წვრიმალი წარმოება აუცილებლად იწვევს მათი გონებისა და ჭკვის ფრიად განვითარებას...

პარიზის გამოფენებზე ყველაზე საინტერესო **„წვრილი შრომის“** გამოფენაა. აქ თქვენ ნახავთ ყველა იმ წვრიმალებს, რომლებსაც ათასობით ამზადებენ აქ და საფრანგეთის სხვა ქალაქებისა და სოფლების წვრილი მწარმოებელნი და რომლებიც თვალ-ნათლივ ღაღადებენ მათი გამკეთებლების უაღრეს ოსტატობას და ყოველმხრივ განვითარებას.

ისმება კითხვა: ნუ თუ დიდი პარიზის მთელი ეს დიდი ხელოვნება, ჭკუა, გონება, შრომა უნდა მოისპოს და ჩანთქმულ იქმნას ყაზარმულ ქარხნისმიერ?! ნუ თუ ყველა ეს დიდი პირადი სხვაობა და ჭკუის სიმკვეთრე-გამოგონება მუშებისა უნდა მოისპოს სამუდამოდ ყაზარმა-ქარხნების - მიერ ყველასი და ყველაფრის ერთს ყაიდაში გატარებით?! და თუ ასე სამწუხაროდ უნდა დასრულდეს კაცობრიობის ცივილიზაციის ბედი, რა იქნება ეს, პროგრესი თუ რეგრესი, წინ-სვლა თუ უკან-სვლა?!,.

ყოველ შემთხვევაში,—ამბობს კრაპოტკინი,— დიდი და მსხვილი მრეწველობა თუ მაინც და მაინც მოახერხებს წვრილ წარმოებათა ასე აწყალოდ დედებუდიანად ჩაყლაპვას და მოსპობას, რაიცა ძლიერ გვეეჭვებაო, ეს არც ისე მალე მოხდებაო!.. პარიზის წვრილი წარმოება იმდენად ცოცხალი მოვლენა და ბუნებრივი შედეგია კაცობრიობის ცხოვრებისა, რომ მას ვერ დასძლევენ იოლად ვერავითარი ბუმბერაზი, ვერავითარი მსხვილი წარმოებანი... პირიქით, რამდენადაც მეტად გამსხვილდება და გავრცელდება ასეთი მრეწველობა, იმდენადვე იმატებს და ფესვს გაიდგამს წვრილი წარმოებაც, რადგანაც წვრილი წარმოება ადამიანის იგივე ერთ-სახეობაა, ერთ-პიროვნებაა და პიროვნება კი დასაბამია ყველა იმისა, რაც კეთდება და მაღლდება... ეს აშკარად სჩანს იმ წვრიმალ მანქანათა გამოგონებებიდან, რომლებსაც ათასობით იგონებენ დღე-მუდამ წვრიმალთ მაწარმოებელნი თავიანთ წვრიმალ, მაგრად დიდად გამოსაყენებელ იაფ ნაწარმოეფთა გასაკეთებლად...

სუბუქი, პატარა და იაფ-ფასიანი მატორის გამოგონება, ეს იყო დღეის მუდამი ცდა და ამოცანა! და მიაღწიეს კიდეც ამას: 45 გირვანქიანი მატორი თავისი ქვაბით დღეს უკვე ახალი ამბავი აღარ არის და ყველას შეუძლია იქონიოს თუნდა სახლში ასეთი მარჯვე და იაფი მამოძრავებელი ძალა! ორ-ცხენიანი ძალის პატარა-პატარა მანქანები, რომლებსაც აკეთებენ საფრანგეთის ჩილინგრები (სლესრები) თავის პაწაწინა სახელოსნოებში, აი სამარადიო პასუხი ზემოდ-დასმულ კითხვაზედ!.. აღარას ვამბობთ წყლისა, აირისა (გაზისა) და ელექტრონის ასეთსავე წვრილ მამოძრავებელ მანქანებზე, რომელთ კეთება და მთელი დედამიწის ზურგზე გავრცელება და სულ უკანასკნელ სახლში შემოღება, სულ მცირე ხანის-ღა საკითხია...*)

1896 წელს საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა ყოვლის მხრით შესანიშნავი აღწერა საფრანგეთის ყველა სამრეწველო წარმოებათა. აღმოჩნდა შემდეგი განსაცვიფრებელი ცნობა: მთელს საფრანგეთში ამ წელს მოქმედებდა სულ ერთ მილიონზე მეტი დიდი და პატარა წარმოება, რომლებშიაც მუშაობდა ოთხ მილიონზე მეტი კაცი და ქალი. გაყავით მუშათა ეს რიცხვი წარმოებათა რიცხვზე და მიიღებთ, რომ თვითეულ ქარხანაზე საშუალოთ მოდის ოთხი მუშა!

გვიბრძანეთ, წვრილი წარმოებაა ეს, თუ სხვილი?

ივ. როსტომაშვილი.

*) ერთი ასეთი სულ მცირე მაგრამ ელვის მსგავსად სწრაფად მომქმედი მანქანა ვნახე თითონ მე. მანქანა წარმოადგენს ჩარხს ხერხით და ისე სწრათ ხერხავს პატრონისაგან ხერხთან მიტანილს მოსქო ფიცარს; რომ პატრონი ვერც კი ასწრობს ნამუშევრის ადგილზე დადებას. მანქანა მოძრაობს ელექტრონის ძალით. ნახეთ საკუთარი თვალით და დარწმუნდებით ჩვენ-მიერ ყველა ნათქვამში.

ივ. რ.

წესდება

ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოებისა,

I მიზანი

1. ქართველ მუსლიმანთა დამხმარე საზოგადოება მიზნად ისახავს მეცნიერულად შესწავლას და ყოველ მხრივ გამოარკვიოს ქართველ მუსლიმანთა ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობა, აგრეთვე აღმოუჩინოს მათ კულტურული და ნივთიერი დახმარება, როგორც საქართველოს საზღვრებში ისე საზღვარ გარედ სპარსეთსა და ოსმალეთში-

2. აღნიშნული მიზნის მისახწევად საზოგადოება: ა) აწყობს და აგზავნის ქართველ მუსლიმანებიდან **ჰარმონიულში გადასასვლელად საჭირო იქნება ასე თუ ისე ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდი.** კერძო საკუთრების გარდაქმნა საზოგადოებრივ საკუთრებად მოხდება მხოლოდ თანდათანობით“ (გვ. 248) კარლოს ჰეინცენის ცხრა პუნქტის შესახებ სწერენ: **„ყვენ იგი მიგვაჩნია საფუძვლად მხოლმდ იმ გარდამავალი პხრიოდისა, რომელმაც კომუნიზმის სავსებით განხორციელებამდე უნდა მიგვიყვანოს“** (გვ. 249), როგორი უნდა იქმნეს პროლეტარიატის ეკონომიური პოლიტიკა ამ პერიოდში? „კომუნ. მანიფესტში“ ვკითხულობთ: „პროლეტარიატი **თავისი პოლიტიკური ბატონობით ისარგებლებს**, რომ თან და თან წაართვას ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, სახელმწიფოს, ე. ი. შეკავშირებული და გაბატონებული პროლეტარიატის ხელში თავი მოუყაროს წარმოებას, შრომის ყველა იარაღს და, რამდენათაც შესაძლებელია, გაამრავლოს საწარმოო ძალთა რაოდენობა... ეს შეიძლება განხორციელდეს საკუთრების უფლებით და წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობაში **მხოლოდ დესპოტიური ჩარევით... მოძრაობის მსვლელობაში ეს (იგი) ღონისძიება... ისრდება თა აუცილებელ საშუალებად ხდება მთელი წარმოების გარდასმნისათვის“**. (გვ. 87). თავის „კომუნიზმის პრინციპებში“ ენგელსმა ეს დებულება შემდეგნაირად განმარტა: „რაკი კერძო საკუთრებაზე თავდასხმა ერთხელ მოხდება, პროლეტარიატი თვით დაინახავს ამ მხრით წინ სვლის აუცილებელ საჭიროებას. ის თანდათან გახდება იძულებული უფრო და უფრო მოუყაროს თავი სახელმწიფოს ხელში მთელს კაპიტალს. ყველა მიწებს, მთელ წარმოება-მრეწველობას, მთელს ტრანსპორტს, აღებ-მიცემობისა და საქონლის გაცვლის საქმეს. აი, ამისაკენ არის მუმართული ყველა ჩამოთვლილი ღონის ძიებანი; ყოვალი ეს განხორციელდება და განავითარებს თავის ცენტრალისტურ შედეგებს იმის მიხედვით, თუ რამდენად გაიზრდება ქვეყნის საწარმოო ძალები პროლეტარიატის შრომით. **ბოლოს, როცა მთელი კაპიტალი, მთელი წარმოება და მთელი აღებ-მიცემობა თავმოყრილი იქნება სრის ხელში,** კერძო საკუთრება თავისთავად გაჭრება, ფული საჭირო აღარ იქნება და წარმოება იმდენად გადიდდებ, რამდენადაც გამოიცვლება თვით ხალხი და გაცვლის ფორმები ძველი საზოგადოებისა მოისპობა“ (გვ. 281). ამის შემდეგ საზოგადოება გადადის კომუნისტურ ასოციაციაში, სადაც მოისპობა ყოველ-გვარი ძალდატანება, დიქტატურა, მოკვდება სახელმწიფო და აღარ ექნება ადგილი არავითარ ექსპლოატაციას.

აი ის ძირითადი პერიოდები, რომელნიც უნდა განვლოს პროლეტარიატმა, მარქსის აზრით, რომ მიაღწიოს თავის სრულს განთავისუფლებას, და ამით გაანთავისუფლოს მთელი კაცობრიობა. ამ მთავარ

ლენინის განმარტებებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მარქსის შეხედულებით პროლეტარიატს, სანამ იგი მიაღწევდეს კომუნისტურ წყობილებას, სჭირდება რამდენიმე სამეურნეო პერიოდების გავლა და ამ პერიოდებთან შეფარდებული პოლიტიკითა და პროგრამით ხელმძღვანელობა. როგორია ეს პერიოდები? **პირველი** კაპიტალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის პერიოდია, მთელი თავით ანარქიული მოვლენებითა და საერთაშორისო ომებით. პროლეტარიატის **მთავარ ამოცანას** ამ პერიოდში შეადგენს ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, ბრძოლისათვის მზადება, ინტერნაციონალური ურთიერთობის გაბმა ყველა ქვეყნის პროლეტარებთან, ყოველგვარა რევოლიუციონური მომენტისა და ფაქტორის გამოყენება, პოლიტიკური ძალა- უფლების ხელში ჩასაგდებათ, თავისი თავის გაბატონებულ კლასად გადაქცევა.

პროლეტარიატის მიერ-პოლიტიკური ძალა-უფლების შემდეგ იწყება ახალი ხანა საერთაშორისო ცხოვრებაში: ეს არის **გარდაგავალი პერიოდი** კაპიტალიზმიდან კომუნისტურ წყობილებამდე. „გოტის პროგრამის კრიტიკაში“ (1875 წ.) კ. მარქსი სწერდა:... „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებათა შორის სძევს პერიოდი **რევოლიუციონური გარდაქმნისა პირველის** მეორედ. ამ პერიოდს ეთანაბრება **პოლიტიკური გარდამავალი პერიოტიც.** და სახელმწიფო ამ პერიოდისა შეუძლებელია სხვა იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა“. ასეთივე დებულება მარქს-ენგელს წამოყენებული ჰქონდათ „კომუნისტურ ჟურნალსა“ (1847 წ.) და „კომუნისტურ მანიფესტში“ (1848 წ.) პირველში ამბობდენ: **არა-ჰარმონიულ საზოგადოებრული სისტემიდან** მოიდომებთ ლენინიზმის სისტემის გამოყვანას, ამ მხრივ, მართლაც თქვენი შრომა უშედეგოთ დარჩება. მაგრამ, თუ თქვენ მარქსის მხოლოდ რევოლიუციონურ სისტემას აიღებთ, დამოუკიდებლად მისი ფილოწოფიური და სოციოლოგიური დებულებებისა, თქვენ შეგიძლიათ **სრული ანალოგია** გაიყვანოთ მარქსა და ლენინიზმის შორის. ამ მხრივ ლენინიზმი, ჩემის გაგებით, მარქსის რევოლიუციონური სისტემის დეტალიზაციაა, მისი მთავარი და ძირითადი დებულებების სისრულეში მოყვანაა. ამ გაგებით ლენინიზმი (ვგულისამობთ მის რევოლიუციონურ სისტემას) მარქსიზმის რევოლიუციონური სისტემაა სრულიად მართალი იყო მენშევიკი დალინა, რომელიც საზღვარგარეთის პრესაში სწერდა, რომ მარქსი ცოცხალი ყოფილიყო ის სავსებით გაიმეორებდა ლენინის მეთოდებსო. რევოლიუციონერი მარქსი აუცილებლად ლენილელი იქნებოდა.

სან-დონი.

ბში სამეცნიერო კომისიებს მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. ბ) აშუქებს ფართო საზოგადობაში მათს თანამედროვე მდგომარეობას და ისტორიულ წარსულს ყველა კანონიერი გზით, მწერლობით, კრებით, ლექციით, გ) აარსებს სპეციალურ ბეჭდვითს ორგანოს მუსლიმან ქართველთა კულტურულ საჭიროებისათვის, დ) ნიშნავს პრემიებს საუკეთესო თხზულებათათვის. ქართველ მუსლიმანთა ისტორიულ და თანამედროვე ცხოვრებიდან: ე) ზრუნავს მათ შორის სწავლა-განათლების და საერთოდ სულიერი კულტურის განვითარებისათვის. შკოლა, წიგნთსაცავ-სამკითხველო, თვატრი: ვ) ნიშნავს სტიპენდიებს ქართველ მაჰმადიანთა ნიჭიერ ბავშთათვის. ზ) უწევს ლარიბებს ერთდროულ და მუდმივ ნივთიერ დახმარებას, როგორც ფულით ისე სხვა სახით; ი) აწყობს საექი?ო და იურიდიულ დახმარების ორგანიზაციას. თ) ხელს უწყობს ლტოლვილთა და აყრილთა დაბინავებასა და დასახლებას: შუამდგომლობს საქართველოს სოციალისტური ხელისუფლების და სხვა დაწესებულებათა წინაშე ამა თუ იმ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

II შემადგენლობა

3. საზოგადოების წევრობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს განურჩევლად სქესისა და მდგომარეობისა.

4. წევრად არ მიიდება, ხოლო თუ მიღებულია გამოირიცხება ისეთი პირი, რომელიც ჩირქს მოსცხებს საზოგადოებას და შეარყევს მის ავტორიტეტს და გავლენას.

5. საზოგადოების წევრი სამ ნაირია: ნამდვილი, მუდმივი, და საპატიო. ა) ნამდვილი წევრი საზოგადოებაში შემოსვლისას იხდის 50 კაპეიკს ოქროთი, ხოლო ყოველწლიურად 25 კ. ოქროთი ბ) მუდმივი წევრი ერთ დროულად იხდის არა ნაკლებ ხუთი (5) მანეთისა ოქროთი ვ) საპატიო წევრად შეიძლება არ?ეულ იქნეს ისეთი პირი რომელსაც რაიმე განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის საზოგადოების მიზანის განხორციელების საქმეში.

6. ნამდვილ და მუდმივ წევრად მსურველს იღებს საზოგადოების გამგეობა, ხოლო საპატიო წევრს გამგეობის წარდგენით ირჩევს თვით საზოგადოება საზოგადო კრების ორი მესამედის უმრავლესობით. წევრის გამორიცხვა ხდება გამგეობის წინადადებით და კრების დასტურით.

III საშუალებანი.

7. საზოგადოების საშვალებას შეადგენს: ა) საწევრო—მუდმივი, ერთდროული და წლიური შემოსავალი: ბ) შემოწირულება, გ) მთავრობის სუბსიდია; დ) სხვა-გვარი შემოსავალი საღამო, ლექცია, წარმოდგენა.

---

*) საკმარისია გაიხსენოთ **სახელმწიფოს** საკითხის განმარტება მეორე ინტერნაციონალის ბელადების მხრით, რომ დარწმუნდეს იმაში, თუ რამდენად გამახებული და გახრწნილი იყო თავის ლოლიკურ შესაძლებლობამდე მარქსის შეხედულება ამ კითხვაზე. ლენინმა თავის მეტად სერიოზულ წიგნში **„სახელმწიფო და რევოლიუცა“** არქივიდან ამოალაგა მარქსი ნამდვილი შეხედულება ამ კითხვის შესახებ და გასწმინდა იგი ყოველგვარ მტვერისაგან, რომელიც მეორე ინტერნაციონალის ბელადების წყალობით ერგო მას.

სან—დონი.

IV. უფლება და მოვალეობა.

8. საზოგადოების მოქმედება ვრცელდება ქართველოს რესპუალიკის ტერიტორიაზე და უკან სახელმწიფოთა იმ კუთხეებზედ, სადაც ქართველ მუსლიმანები მოსახლეობენ.

9. საზოგადოებას უფლება აქვს საჭიროებისამებრს ზოგან გახსნას ადგილობრივი განყოფილება თავის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით, ზოგან კი იყოლიოს თავისი რწმუნებული.

10. საზოგადოება სარგებლობს იურიდიული პიროვნების ყველა უფლებით. მას შეუძლია შეიძინოს და გაასხვაოს საკუთრება, მიიღოს მემკვიდრეობა. საჩუქარი, შეწირულება, აიღოს იჯარა, დაიქირაოს, დასდოს პირობა, და იკისროს ვალდებულება, იძიოს სასამართლოში და პასუხი აგოს, და სხვა დაწესებულებებში თავისი გამგეობის თუ რწმუნებულის საშვალებით:

11. საზოგადოება თავისი მოქმედებას დროს ხელმძღვანელობს ს.ს.ს. რესპუბლიკის კანონებით, განკარგულებით და დადგენილებით.

V საქმეთა მმართველობა

12. საზოგადოების საქმეებს განაგებს: ა) საზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

13. საზოგადო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. მას იწვევს გამგეობა.

14. ჩვეულებრივი კრება იმერთება წელიწადში ერთხელ, ხოლო საგანგებო საჭიროებისამებრ გამგეობის თაოსნობით, სარევიზიო კომისიის მოთხოვნით და საზოგადოების წევრთა მეხუთედის წერილობითი განცხადებით.

15. საზოგადოების გამგეობა შესდგება 15 წევრისაგან და 5 კანდიდატისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება ორი წლის ვადით ხმების აბსოლიუტური უმრავლესობით.

16. გამგეობის წევრნი თავიანთ შორის ფარულ კენჭის ყრით ირჩევენ პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ორ ამხანაგს, მდივანს და მოლარეს.

17. გამგეობის ჩვეულებრივი კრება ხდება თვეში ორჯერ მაინც.

18. საკითხები წყდება უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის დროს გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

19. გამგეობა აღმასრულებელი ორგანოა. უძღვება საზოგადობის საქმეებს, ადგენს მოქმედების ანგარიშს, მომავლისათვის წინასწარ შემუშავებულ გეგმას და სხვა.

სამეურნეო პერიოდებთან არის შეფარდებული პროლეტარიატის სამოღვაწეო პროგრამა, მისი პოლიტიკა და პლატფორმა.

ამხ. ვ. ლენინმა თითქმის პირველმა აღადგინა მარქსის ეს რევოლიუციონური გეგმები და სისტემა და სისწორით გადმოგვცა ყველა იმ საშუალებების (სახელმწიფოს, დიქტატურის რევოლიუციის და სხვ.) გაგება, რომელთაც მარქსი იყენებს სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციისათვის. ამით მან არსებითად გასწმინდა მარქსის რევოლიუციონური სისტემა ოპორტიუნისტულ სიბინძურისა და რეფორმიზმისაგან, რომელიც უხვად შეიტანეს მასში მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა.*)

კითხვა იბადება: გარკვეულ ისტორიულ სამეურნეო პერიოდებსა და ამ პერიოდებში წამოყენებულ პროლეტარიატის პროგრამას. როგორ უკავშირებენ მარქს-ენგელსი ეროვნულ საკითხს, ერების ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. უკეთ, 1) როგორი არის მარქს-ენგელსის ეროვნული პროგრამა, ეროვნული პოლიტიკა კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში, კაპიტალისტური მეურნეობის ვითარების ხანაში, 2) როგორია მათივე ეროვნული პროგრამა, ეროვნული პოლიტიკა პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, კაპიტალიზმისა და კომუნისტურ წყობილების შორის არსებულ **გარდამავალ პერიოდში**, როდესაც პროლეტარიატი დესპოტიური ჩარევით წარმოების ურთიერთობაში სპობს ძველი სამეურნეო ცხოვრების ყოველგვარ ფორმაციებს და ნიადაგს უმზადებს ახალს, კომუნისტურ ასოციაციას?

სანამ ამ კითხვაზე ჩვენ არსებით პასუხს გავცემდეთ, ჩვენ უნდა მოვიგონოთ ამხ. ნ. ლენინის **მეორე დიდი ღვაწლი** და დამსახურებაც, თუ ამხ. ლენინს ხვდა წილად სისწორით აღედგინა მარქსის რევოლიუციონური სისტემა, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში დავიწყებული და გაუგებარი იყო, მანვე შესძლო მარქს-ენგელსის შეხედულების აღდგენა ნაციონალურ საკითხის შესახებ. ამ საკითხზე სრულიად სამართლიანად სწერს ამხ. ფილიპე მახარაძე: „...ნაციონალური საკითხი ბევრათ უფრო მწვავდება მარქსსა და ენგელსის შემდეგ; და იმავე დროს კი იმათი შეხედულება ამ საკითხზე როგორღაც თანდათან იჩრდილება, მას ივიწყებენ სოციალისტურ ლიტერატურაშიაც კი. მხოლოდ ლენინს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან ნამდვილად და პირდაპირი წყაროების საშუალებით აღადგინა მარქსის და ენგელსის შეხედულება ნაციონალურ საკითხზე და მან როგორც აღჭურვილმა ნამდვილი მარქსისტული შეხედულებით ამ საგანზე შექმნა სრულიად ახალი სკოლა, რომელიც ნამდვილი რევოლიუციას ახდენს ნაციონალური პრობლემის როგორც თეორეტიულ გაშუქების, ისე მის პრაქტიკული გადაჭრის სფეროში“. („კომუნიზმის დროშა“ № 6—7 გვ. 9. კურსივი ჩემია.).

მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის გასაგებად საჭიროა წინ და წინ იცოდეს მკითხველმა, რომ მარქსიზმი არ არის ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული მოძღვრება, იგი არ წარმოშობილა **რომელიმე** ერის წიაღში, მისი წარმოშობა იყო მთელი კაპიტალისტური სისტემა. მთელი მსოფლიო იყო მისი სარბიელი, ამიტომ იგი თავიდანვე ატარებდა ინტერნაციონალურ ბუნებას, საერთაშორისო ხასიათს. მარქსიზმის სამოღვაწეო სარბიელს წარმოადგენდა ყოველი ერი, ყოველი მხარე ერთად აღებული. ამიტომ, ცხადია, მას არ შეეძლო ყოველი ცალკე ერისათვის მიექცია თავისი ყურადღება და ყველა მათგანისათვის ეწერა ცალ-ცალკე პროგრამები. იგი იძლევა ზოგად დებულებას, ზოგად სახელმძღვანელო აზრებს ცხოვრების ყოველ დარგებისათვის; ეს დებულებები თავისი მხრით ძლიერ ხშირად გამაგრებულია ისტორიულ კონკრეტიულ მაგალითებით რომელიმე ერის ცხოვრებიდან, და ამის შემდეგ ხდება როგორც ზოგადი სახელმძღანელო აზრი.

მარქი და ენგელსი თავიანთ სამოღვაწეო გეგმებსა და პროგრამას საერთო ცხოვრების მიმდინარეობას უფარდებდენ, ისტორიულ ცხოვრების მოთხოვნილებებს უკავშირებედენ. ნაციონალურ საკითხშიაც მათ სავსებით გამოიყენეს ეს თავიანთი მიდგომა საკითხისადმი და მე-19-ე საუკუნეში წამოყენებულ ნაციონალურ პრობლემებს, ერების მოთხოვნილებებს ასე თუ ისე ანგარიში გაუწიეს.

მაგრამ კითხვა იბადება, როგორი იყო მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალურ მოძოაობის შინაარსი და როგორ იყენებდენ ამ მოძრაობას მარქს-ენგელსი თავიანთ ნაციონალურ პოლიტიკის გამოშვების დროს?

წინა წერილებში მე განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევდი იმის გამორკვევას, თუ მარქსი პრინციპიალურად როგორ ურთიერთობას ამყარებდა კლასთა ბრძოლის პრინციპსა და ეროვნულ საკითხს შორის, საერთოდ როგორი იყო მისი დაბრ-

20. საზოგადო კრების განსახილველი საგანია: ა) განხილვა და დამტკიცება ანგარიშებისა, ბ) ხარჯთ აღრიცხვა, გ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა და წესდების შეცვლა და შესწორება, დ) წევრთა გამორიცხვა, ე) მიღება საპატიო წევრთა, ვ) სხვა და სხვა საკითხების განხილვა.

21. საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება თუ დაესწრო წევრთა არა ნაკლებ ერთი მეხუთედისა.

შენიშვნა: წევრთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ხელმეორედ მოწვეული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

22. საზოგადო კრების მოწვევა უნდა ეცნობოს წევრთ სამი დღით ადრე, დროის, ადგილის და დღის წესრიგის აღნიშვნით.

23. საზოგადოება იმყოფება თბილისში, მას აქვს საკუთარი ბეჭედი ზეწარწერით: **„ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება“.**

VI **გამგეობის მოქმედების რევიზია.**

24. საზოგადოების გამგეობის მოქმედების განსახილველად და თვალყურის სადევნებლად საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას 5 პირისაგან და ორი კანდიდატისაგან შემდგარს, ორი წლის ვადით.

25. სარევიზიო კომისია იხილავს გამგეობის მოქმედებას, წიგნებს, საბუთებს, სალაროს და სხვა მოხსენებას უდგენს საზოგადო კრებას.

26. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს საზოგადო კრება იმ შემთხვევაში. უკეთუ საზოგადო კრების მოწვევის საჭიროება აშკარაა და გამგეობა კი უარს აცხადებს.

VII **ლიკვიდიცია.**

27. საზოგადოების ლიკვიდაციისათვის საჭიროა საზოგადო კრების წევრთა $^2/_3$-დის გადაწყვეტილება.

„ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების“ **საორგანიზაციო კომიტეტი.**

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ

მეორე სახელმწიფო კონსერვატორია.

მეტად საყურადღებოა ის ცხოველმყოფელობა, რომელიც გამოიჩინა ამ კონსერვატორიამ არსებობის განმავლობაში და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მით უმეტეს ისეთს პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა, როდესაც ხშირად დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა მას ამა თუ იმ სახით, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მის ხელმძღვანელთა შრომა-მეცადინეობამ ყოველივე—ამას სძლია და შესანიშნავად გააფართოვა-განავითარა საქმე. ეს ნათლად დამტკიცდა 17 ივნისმა, გამართულ საღამომ კონსერვატორიის დარბაზში, რომელზედაც თავი მოეყარა დიდძალ არტისტიულ-მუსიკალურს საზოგადოებას. იყვნენ. სახელმ. კონსერვატორიის პროფესორები, მთავარი სახელოვნო კომიტეტის წარმომადგენელი, მოწაფეთა მშობლები და სხვა. კონცერტის დაწყებამდე. კონსერვატორიის ინსპექორმა ი. აბაშიძემ საზოგადოებას გააცნო მოკლე ანგარიში კონსერვატორიის მოქმედებისა. მან საინტერესო ცხრილი მოიყვანა კონსერვატორიის ზრდა-განვითარებისა. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ აწინდელ ხელმძღვანელეთ ჩაუბარებიათ 1918 წ. ეს სასწავლებელი, რომელიც იყო ქართული მუსიკალური სასწავლებელი. (ფილარმონიული—საზოგადოებისა), რომელშიც იმ დროს იყო 130 მოწაფე, 5 ოთახი და 5 როიალი. მას შემდეგ ეს სასწავლებელი გადაკეთდა მეორე სახელმწიფო კონსერვატორიათ. იგი გააფართოვეს იმდენად, რომ იგი ეხლა მოწაფეთა სიმრავლისა გამო სივიწროეს განიცდის ბინის მხრივ. აქტზე გამოირხვა, რომ ამ ჟამად მეორე კონსერვატორიას ყოლია 732 მოწაფე რომელნიც ეროვნულის შემადგენლობით ასე ნაწილდებიან, ქართველები—381 კაცი, სომეხი 205 კაცი, რუსი—101 კ. ებრაელი—27 კ. გერმანელი—4 კაცი, პოლონელი 4 კ., ოსი—3 კ., ფრანგი—2 კ., ბერძენი—3 კაცი, აფხაზი—2 კაცი. სულ 732 კაცი. ამათგან სრული სტიპენდიატები ყოფილან 409 კაცი. მეორე კონსერვატორიის შრომა ჯერ-ჯერობით, გამოიხატება საკონცერტო დარბაზის გადაკეთებაში, საჭირო ავეჯის შეძენაში და სხვ. კონსერვატორიას ამ ჟამად აქვს 19 როიალი. წარსული სეზონის განმავლობაში მათ გაუმართავთ 14 საღამო, რომელთა შორის 10 კამერული საღამო იყო მეტად საინტერესო პროგრამით. ამასთანავე გაუმართავთ ორი საკვარტეტო საღამო საქართველოს „რაბისის“ ყრილობის წევრთათვის. ერთი სასახლეში, საკამერო საღამო. ამას გარდა ამ წლის მაისიდან, ბრიგადის და კავკურსის. კულტშეფად გახდომის შემდეგ, ორი კონცერტი გაუმართავთ საშეფო ნაწილებისათვის კონსერვატორიის შენობაში. 4-იც ნავთლუღში, საბურთალო, მაშასადამე საჯარო კონცერტი გაუმართავთ სულ 25.

კონსერვატორიაში საკმაო კლასების უქონლობისა გამო 16 მასწავლებელი იძულებული ყოფილა კონსერვატორიის მოწაფეთათვის. თავიანთ ბინებზედ ეძლიათ გაკვეთილები ყველა ეს ამ რიგად ნათელსა ჰყოფს ხელმძღვანელთა დიდს შრომა მუშაობას.

17 ივნისის კონცერტზე. ჩვენ ვნახეთ ბევრი მიჰიერი მოწაფე თავისი კარგი შესრულებით რომელნიც საზოგადოებაში დიდს აღტაცებას იწვევდენ. დასასრულს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი მოვლენა. ამ დღეებში განზრახულია ამ კონსერვატორიის რეორგანიზაცია და რამდენადაც ჩვენ გავიგეთ, ამ სარეორგანიზაციო მუშაობაში არ არიან მიწვეულნი ამ კონსერვატორიის აწინდელი ხელმძღვანელნი, რომელნიც პირდაპირ დაინტერესებულნი არიან მათ მიერ შექმნილ საყვარელ საქმის აღორძინებაში. ჩვენის აზრით საორგანიზაციო მუშაობისათვის ეს პირნი უსათუოდ უნდა იქმნა მიწვეულნი. რათა მათ მიეცეს საშუალება გამოსთქვან თავიანთი აზრი-შეხედულობა ამ სერიოზულ საქმის შესახებ. რომელზედაც მათ როგორცა ვსთქვით ესოდენ დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვით.

ვ. ბ.

სახალხო სახლი—26 ივნისს პლეხანოვის პრ. № 102 შენობაში წაკითხულ იქნება მოხსენება სახალხო სახლის მუშაობის და პერსპექტივების შესახებ.

— —

ბერძნების პოეზია—ამ დღეებში გამოვა ბერძენი პროლეტარულ პოეტების კანონიდის და პარტაკის ნაწარმოებნი.

— —

დრამატუდია—მთავრობამ გაიღო ფაღავას სტუდიისთვის 3,500,000,000 მან.

— —

ქუთაისი შედგა დრამატიული წრე ვალ. გუნიას და იუზა ზარდალიშვილის რეჟისორობით.

— —

ხურამი შეუდგა რუსული დრამატიული წრე. ქართულ წარმოდგენების საქმე სუსტად მიმდინარეობს.

— —

სოხუმი ახლო მომავალში სოხუმი გადაუხდის ლადო მარჯანიშვილის იუბილეს!

— —

ბავშვების თეატრი განათლების კომისარიატმა დაამტკიცა საბავშო თეატრის რეპერტუარი.

— —

სომხური ოპერეტკა დღეს რუსთველის თეატრში მიდის სომხურ ენაზე ოპერეტკა „სალმა“ სომხურ კომედიის დასის მსახიობთა მონაწილეობით და კანშინის ხელმძღვანელობით.

— —

კონსერვატორიის რეორგანიზაცია ამ დღეებში დასრულდება პირველ სახელმწიფოს კონსერვატორიის რეორგანიზაცია.

— —

სომხური მუსიკალური კომედია ორი კვირაა, რაც ტფილისში მოღვაწეობს როსტოვიდან ჩამოსული სომხური მუსიკალური კომედიის დასი ვანშინის ხელმძღვანელობით დასში 20 მსახიობებია.

უკვე დაიდგა სცენაზე შემდეგი პიერეტკები, „სილვა“, „[illegible]“, „[illegible]“ [illegible] ნის საიდუმლოებანი“, „ცეცხლის ქორწილი“ და სხ. წარმოდგენებს საზოგადოება ბლომათ ესწრება.

ლეკების პოემა. მგოსანმა ისკანდერმა დაამთავრა პოემა „გულნარი“, ლეკების ცხოვრებიდან პოემის გმირი, არის ლეკის ქალი გულნარი, პოემა დაწერილია ლამაზი ლექსებით და რომანტიული ფერებით. პოემა ითარგმნება ქართულ ენაზე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სამშაბათს, ივნისის 26-ს

ა. ფაღავას სტუდიის სარგის დარბაზში

(რუსთაველის თეატრის შენობაში)

პონსტანტინე გამსახურდია

წარმოსთქვამს სიტყვას:

თეატრი და ექსპრესიონიზმი

I თეატრი აღმოსავლეთში, ბერძნული ტრაღედია. ტრაღედიის გადაგვარება. დასავლეთის თეატრი. შექსპირი. კრიზისი. ვენის, ბერლინის, რაინჰარტის თეატრები. ნების ყოფა ტრაღედიის განახლებისადმი. ნებისყოფა მისტერიისადმი. აღსდგება თუ არა ბერძნული ტრაღედია? ვილამოვიცის პოზიცია. ფონი ბერძნული კულტურის, ანტიკა და დასავლეთი—არა ჰომოლოგიური ფენომენებია. თეატრი, სანახაობა და თეატრი სულის ტრიბუნა. თეატრი და ექსპრესიონიზმი.

II ქართული თეატრის გუშინ და ხვალე. მარჯანიშვილი და აღორძინების ნიშნები. ქართული კულტურის ტრაღიკული ნასკვი. ჰიბრიდული სული ქართული კულტურის. ქართული სულის რენესანსის პაროლი.

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: **კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, ი. ტატიშვილი, ა. ფაღავა.**

მოხსენება დაიწყება საღამოს სრულ 9 საათზე.

შესავალი ბილეთები იქვე გაიყიდება.

2—2

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ,

რომელნიც დაინტერესებული არიან ხიხისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმოგი

მატარებელის, ექსპლოატაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილობა ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ჭერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტებზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთლებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტარანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწერად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებლის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცხობებისათვის უნდა მიმართოა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).

5—1 № 378.

კოლება ეროვნებისადმი. აქ ჩვენ მრავალი საყურადღებო და მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დებულებები დავინახეთ მარქსის პოლიტიკაში. ამ ძირითად დებულებს გარკვეული ხაზით უნდა მიემართათ მარქს-ენგელსის ეროვნული პროგრამაც.

რაში გამოიხატებოდა კონკრეტიულად მე-19-ე საუკ. ნაციონალური მოძრაობა.

მე-19-ე არის დიდი ნაციონალური მოძრაობის საუკუნე. კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებამ თავისი აგრესიული პოლიტიკითა და ექსპლოატაციით. გაღვიძება უაღრესად დაჩაგრულ ერებში ნაციონალური შეგნება, თავდაცვითი ინსტიქტი და მათშიც დაიბადა დიდი სურვილი დამოუკიდებელი ნაციონალური არსებობისა, რომ ამის მათ ჰქონოდათ რეალური საფასი კაპიტალის ექსპლოატაციისაგან დასაცავად. ეს ლტოლვა დამოკიდებულებისადმი ახასიათებდა, როგორც ევროპის დაჩაგრულ ერებს, ისე კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფ აზიისა და აფრიკის ხალხებს. მაგრამ, თუ ერთის მხრით, ამ ლტოლვას, მისწრაფებას იწვევდა დაჩაგრულ ერებში. წმინდა ეკონომიური ფაქტორები, კაპიტალების აგრესიული პოლიტკა. მეორეს მხრით, ეს დიდი ნაციონალური მოძრაობა გააღრმავა და გააფართოვა საფრანგეთის დიდ რევოლიუციის იდეურმა გავლენამ. ამ რევოლიუციამ მთელს მსოფლიოს შესთავაზა ძმობის, თავისუფლებისა და თანასწორობის ბრწყინვალე ლოზუნგები, და ფეოდალური კარჩაკეტილობას. და კაპიტალიზმის არტახებით შებორკილ პირებს და ხალხებს გაუღვიძა სურვილი ახალი გზით ცხოვრებისა. ნაციონალური ომები და ნაციონალური მოძრაობა, აი რა ახასიათებს საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგს პერიოდს 1871 წლამდე.

„თავისუფლება ზღვათა! თანასწორობა ეროვნებათა!“—ეს სიტყვები ეწერა საფრანგეთის მეომართა დროშაზე რევოლიუციონური ომების დროს ყოველი რევოლიუცია, ყოველი დიდი ომი თან ატარებდა ნაციონალურ იერსა და შეიცავდა ღაჩაგრულ ერთა განთავისუფლების ელემენტებს.

მაგრამ როგორ ფორმებში გამოიხატებოდა მე-XIX-ე საუკ. ნაციონალური მოძრაობანი? პროფ. კარეევი თავის ისტორიულ მიმოხილვებში აღნიშნავს **რომ** თუ ჩვენ შევჩერდებით პოლიტიკურ მხარეზე ნაციონალურ მოძრაობის რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1848 წ. ამბებში, ჩვენ უნდა გავარჩიოთ ნაციონალური მოძრაობა **გაერთიანების** ხასიათისა და **განმანთავისუფლებელი** ხასიათით. მთელი თავისი წარსული ისტორიის მიმდინარეობით დასავლეთი ევროპა მიყვანილ იქმნა იქამდინ რომ მასში დაწყებული პოლიტიკური საზღვრები სრულიად არ ფარავდენ ეტნოგრაფიულ საზღვრებს და ცალკე სახელმწიფოებში იძულებულნი იყვნენ ერთად ეცხოვრად სრულიად თანასწორ უფლებიანი ეროვნებებს. ეს იყო აგრედვე ერთი მიზეზთაგანი მთელ რიგ სახალხო მოძრაობისა, რომელთაც მიზნად ჰქონდა ან შეერთება პოლიტიკურად დანაწილებულ ეროვნებებისა, ან განთავისუფლება ზოგიერთ ეროვნებათა მეორეს ბატონობისაგან, ან და, ბოლოს, პირველიცაა და მეორეც ერთად აღებული (იხ. Н. Кареев: „Общий взгляд на историю западной Европы. გვ. 132-3 1905 წ.

ამგვარად მე-XIX საუკ. ნაციონალური მოძრაობის მთავარი ფორმები გამოიხატებოდა 1) პოლიტიკურად დანაწილებული ეროვნებათა მისწრაფებაში **გაერთიანებისაკენ**; 2) დამონებულ ნაციონალების ლტოლვაში **განთავისუფლებისაკენ**. გაერთიანება და დამოკიდებულება, ეს არის აღნიშნულ ეპოქის ნაციონალური მოძრაობის შინაარსი.

რევოლიუციის ტრადიციამ და საერთაშორისო ომებმა ეს მოძრაობა უფრო გააფართოვეს და გააღრმავეს. ამხ. გ. ზინოვიევი თავის საინტერესო წიგნში სწერს: „ნაციონალური მოძრაობანი ევროპაში განსაკუთრებით გამოცოცხლდა მე-XIX საუკუნის მე-2 და მე-3 ათეული წლების საზღვრებზე. მათ ამოძრავებს, ერთის მხრივ, რუსეთ-ოსმალეთის ომი 1828—29 წ.წ. მეორეს მხრით,—1830 წ. ივლისის რევოლიუცია საფრანგეთში. რუსეთ-ოსმალეთის ომთან უშუალო კავშირით დაიწყო ბერძნების ომი დამოუკიდებლობისათვის. ამით ჩაეყარა საფუძველი იმ მოძრაობებს ბალკანეთზე, რომლებმაც ჩვენამდეც ვერ ჰოვეს თავისი სრული გადაწყვეტა. ივლისის რევოლიუციის დაწყებისთანავე საფრანგეთში—იწყება მოძრაობანი — ბელგიაში ჰოლანდიის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, პოლონეთში—ნაციონალური დამოუკიდებულებისათვის რუსეთისაგან, იტალიაში—ნაციონალური განთავისუფლებისათვის ავსტრიის მონობისაგან. ყველა ამ ქვეყნებში აჯანყებები მზადდებოდა მრავალი წლების ნაციონალური ჩაგვრის წყალობით. ივლისის რევოლიუცია მხოლოდ ბიძგს იძლევა, იმპულსს წარმოადგენს, აჩქარებს მოვლენებს, რომელნიც უკვე მომწიფებული იყო ისტორიის მთელ მიმდინარეობაში“ (იხ. Г. Зиновьев „Война и Кризис Социализма“ გვ. 24) არა ნაკლები სტიმული და მომაძრავებელი ენერგია შთაბერა ნაციონალურ მოძრაობას 1848 წ. რევოლიუციამ დაუყონებლივ გამოიწვია **ყველა დაჩაგრულ ერთა მხრით მოთხოვნა დამოუკიდებელი არსებობისა და უფლების თავისით მოაწყონ თავიანთი საქმე“**... (К. Маркс Революция и контр-революция в Германіи“. გვ. 49).

(შემდეგი იქნება).

ხან—დონი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 389 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კარლიბინშტეინის ქუჩ. № 4